1787 წლის ივლისში რუსებმა გადაწყვიტეს, მანსურისათვის საბოლოო დარტყმა მიეყენებინათ. თავი მოეყარეს დონის კაზაკების ლაშქარს, რომელსაც სათავეში ედგა ატამანი ალექსეი ილოვასკი. რეგულარული ჯარი ყუბანის გაღმა, მდინარეების ზელენჩუკისა და ლაბის შესართავთან განლაგდა. მას ხელმძღვანელობდნენ გენერლები რატივი (რატივილი), ელაგინი და პოლკოვნიკი რეზინდენი. ივლისშივე მთიელების ბანაკში, მდ. ურუპისა და ლაბის შორის, ეწეოდა თვით მანსური. მთიელების ჩართვაში ისეთი დიდი იყო, რომ პოტიომკინი შემოფოტებით ატყობინებდა მთავრობას: „ყველანი მანსურის ერთგულემაზე ფიცს სდებენ“.

1787 წლის აგვისტოში დაიწყო რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. ყუბანის კარგად გამაგრებული ბანაკი ნაწილი განლაგდა. რუსების სარდლობამ არ დააცადა მეტოქეს, სანამ იგი საბოლოოდ მოეზადებოდა, ყუბანი გადალახა და მოწინააღმდეგის უშუალო სიხლოვეს აღმოჩნდა. პოტიომკინის გადაწყვეტილებით, იმ სამი მენაერთიდან, ბრძოლაში რომ ჩაერთვნენ, ჯერ პოლკოვნიკი რეზინდენის ნაწილს უნდა ემოქმედა.

როცა საბინელი ცეცხლი გაიხსნა, მთიელები იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ გამაგრებული ბანაკი და უკან დაეხიათ. რეზინდენი გამოვიდა მანსურის ძალებს. 11 სექტემბერს ბრძოლა ჩილხოვ-კოშასთან გაიმართა. დასაწყისში უპირატესობა მანსურის მხარეს იყო, რომელმაც უკუაგდო წინ გაჭრული როსტოვის ცხენოსან კარაბინერთა პოლკი. მალე კარაბინერებს ასტრახანის პოლკის დრაგუნები წამოეხმარნენ. მთიელებს კვლავ უკანდახვევა მოუხდათ, რადგან რუსების არტილერიამ დიდი ზიანი მიაცენათ. თუმცა ბრძოლის ბედი ჯერჯერობით კვლავ შენდევნილი იყო. ჩერქეზები საბრძოლო სიძლიერებით ამხნვევდნენ ერთმანეთს, დარტყმას დარტყმით უპასუხებდნენ, რათა მათი წინააღმდეგობა დაეძლიათ და სასწრაფოვით გამოეყვითათ. იოლვაისკის კაზაკებმა გადალახეს მდინარე ლაბი და ნაცარტუტა აქციეს ჩერქეზების აულები. ოდესღაც მდიდარი და აყვავებული სოფლებიდან აღარაფერი დარჩა. ამის შემდეგ მანსურის ლაშქრის ნაწილი გაიფანტა. შორიდან მოსულმა ბრძოლის ველის მიატოვებს და თავიანთ ადგილსამყოფელს მიაშურეს, სანამ რუსები მათაც მიაკითხავდნენ.

რასან ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, რუსებმა გადაწყვიტეს აემოქმედებინათ ის სათადარიგოდ განწყობილი ნაწილიც, რომელსაც გენერალ-მაიორი რატივი ხელმძღვანე-

ლობდა, ვახტანგ VI-ის დროს სამომლოდან გადახვეწილი ქართველების ჩამომავალი. მანსურის ძალები უკვე ელეოდა, მაგრამ უკანასკნელ გამბრძოლებამე მინც უარი არ უთქვამს. 22 სექტემბერს იგი უკვე საბოლოოდ დამარცხდა, რამდენიმე ათეული მეომრით ჯერ მთებს შეეფარა, შემდეგ კი თურქების ერთ-ერთ



დასაყრდენ ანაპას. მთელი ამ ბრძოლის დროს თურქებს შეიხ მანსურისათვის რეალური დახმარება არ გაუწევიათ. ამიერიდან შეიხ რუსებისათვის რეალურ საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენდა.

სექტემბრის მიწურულში პოტიომკინმა დატოვა კავკასია. მისი შემცველი გენერალ-ანფიმი პეტრე ტეველი-პროვოვიჩი 10 ათასი ჯარისკაცით დაერია სოფლებს. და სულ რამდენიმე დღის განმავლობაში მთლიანად ამოწყვიტა მოსახლეობა მდ. ლაბისა და კავკასიის მთებს შორის. რუსებმა იმდენი მოახერხეს, რომ ერთმანეთს გადაჰვიდეს გუბინდელი მოკავშირეები, ყაზარდოელები და ჩერქეზები. სწორედ ყაზარდოელებმა „გამოიღეს ხელი“ მათი მეზობლების – ჩერქეზების დიდი რაოდენობით განადგურებაში. არაერთი მათგანი რუსეთის არმიის ოფიცერიც კი გახდა. ეს „დამეგობრება“ ძალიან ხანმოკლე გამოდგა. ყაზარდოელებს იმედოვნებდა, რომ რუსები დაუმზუნებდნენ იმ მიწებს, რომლებიც მათ ციხე-სიმაგრეების ასაგებად სჭირდებოდათ. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს და ყაზარდოელებმა ისევ აიხრეეს გული რუსებზე. მხარის ოხრებში აქტიური მონაწილეობა დონის კაზაკებმაც მიიღეს.

რუსებმა გადაწყვიტეს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ანაპის აღება. ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარე, ყუბანის შესართავთან 32 კილომეტრით დაშორებული ანაპა თურქეთის დასაყრდენი იყო, დიდ როლს ასრულებდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში თურქეთის გავლენის გავრცელებაში. იგი ფრანგი ინჟინერების დახმარებით ძლიერ ციხე-სიმაგრედ იქცა. მას 1788 წლის შემოდგომაზე გენერალმა ტეველიმ შეუტია, მაგრამ ჩათვალა, რომ არასაკმარისი ძალები ჰყავდა და უკან დაიხია. ის, რაც ტეველიმ ვერ გააკეთა, ახლა მიზნად გენერალმა ბიბიკოვმა დაისახა. მას 8 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, მაგრამ სანამ ანაპამდე მიაღწევდა, ჩერქეზები გაუთავებლად ესხმოდნენ თავს. ეს ექსპედიცია სრული მარცხით დასრულდა.

რუსების მარცხს ფართო რეზონანსი ჰქონდა. თურქებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ მოწინააღმდეგეთა დემორალიზაციით და ზღვით უზარმაზარი არმია გამოაგზავნეს – მთაწვამას 40 ათასიდან 50 ათასამდე მეომარი ჰყავდა. ამჯერად უკვე თურქები ვერაფერს გახდნენ. ჯერ ერთი, საზღვაო ბრძოლაში აღმირალმა უმაკოვმა მოსპო თურქების ფლოტი. მე-

ორე და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჩრდილო კავკასიელები მაინცდამაინც არ გამოეხმარნენ მთაწვამის მოწოდებებს. გადაწყვეტილი ბრძოლაში, დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, თურქები უნათოდ მოქმედებდნენ, შედრუნენ და თავზარი დაეცათ. ისე, რომ ამჯერად თურქების ექსპედიცია ჩრდილოეთ კავ-

კასიაში სრული ფიასკოთი დასრულდა და ბიბიკოვის მარცხი დავიწყებას მივიდა. პავლე პოტიომკინი, რომელიც კავკასიიდან ჯერ კიდევ 1787 წელს გაემგზავრა, 1790 წლამდე მაინც ინარჩუნებდა მეფის ნაცვლის თანამდებობას. ბოლოს და ბოლოს, იგი გრაფმა ივანე გუდოვიჩმა (კარგად ცნობილია საქართველოს ისტორიაში) შეცვალა. გუდოვიჩი 1791 წლის დასაწყისში ჩამოვიდა გეორგიევსკში. მან უპირველეს ამოცანად ანაპის აღება დაისახა.

შეტევა ანაპაზე, სადაც უკვე კარგა ხანია ცხოვრობდა და მორჩუნებებს ამხნვევებდა შეიხ მანსური, 22 ივნისს დაიწყო. გარნიზონს 15 ათასი კაცი კი ჰყავდა, მაგრამ ვერ მოახერხა ქალაქის გადარჩენა. როგორც ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ბადელი წერს, აღრინდელი ხანგრძლივი წინააღმდეგობითა და დანაკარგებით მეტად გაღიზიანებული რუსები მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობდნენ, ქვას ქვაზე აღარ ტოვებდნენ. რუსებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 93 ოფიცერი და 4500 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 83 ქვემეხი და 130 ღრობა. იმავე მადღის სიტყვით, გამარჯვებულთა ერთ-ერთი მთავარი მიღწევა მაინც შეიხ მანსურის დატყვევება იყო. შეიხი თავის საცხოვრებელ ბინაში უკანასკნელ მომენტამდე იგერიებდა მეტრს, მაგრამ რას გახდებოდა! რუსებს მისი ხელთ გდება ამ მძლავრ მასტიონის აღებაზე ნაკლებად როდი გახარებიათ. შეიხ მანსური სანკტ-პეტერბურგში გააგზავნეს, სადაც ეკატერინე II-ეს წარუდგინეს. რა მოხდა შემდეგ? ზოგი წყარო იუწყება, რომ ეს საიდუმლოებით მოხუცი ადამიანი მოსიყვარვის ციხეში ჭლებით გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს (დუმბროვინი), სხვა ცნობით (პოტი) სოლოფსკის მონასტერში გადასახლეს და იქ დაამთავრა თავისი ცხოვრება.

რაც შეეხება მისი გარდაცვალების წელს, იგი ცნობილი არ არის, ერთ გასაოცარ ამბავს მაინც ახსენებდნენ: თითქოს ღრმად მოხუცებულმა იტალიელმა ბოეტემ შეილისაგან (შეიხ მანსურისაგან!) რუსეთიდან მიიღო წერილი, სადაც იგი ღრმა სინანულს გამოთქვამდა მამის ოჯახიდან ოდესღაც გაქცევის გამო, რასაც ამდენი ხნის ხეტილი მოჰყვა. ბოეტის ხომ იგი კარგა ხნის წინათ მკვდარი ეგონა.

გივი ბაგრატიონი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

© რ315...

პ. ნეტავი, ერთად იყოს თბილისი და ბათუმი – ვინატრე ამ გაკარნაგაღებული ახალი წლის დღეებში... სან ბათუმს „ფიშიზნები“ სატელევიზიო მულტს ხაზაც – თბილისს ისეთი ზარ-ზემით ვხედვით ახალ წელს ცა ქუდად არ მიგაჩნდა და დედამიწა – ქალამადა. მერე თეორეტიკი-ანმა პრეზიდენტმა გვასარა: ყველაზე მაგრად ახალი წელი ქართველებმა აღინიშნეთ... ანუ სხვათადაც ასე გამოვიდა – რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ! ბათუმიდან ხომ ჩვენი ქება-დიდებათ სულ „დაგებობა“ და... მსოფლიოში ყველაზე მაგრები შევხვდით ახალ წელიწადს.

საშობაოდ „დაბოგობილი“

„უიზილგაშობის“ თანამედროვე სენი

ქართული სირბილ-ხუნტრუცის შემყურე, ეს დღეები გაფაციცებით ველოდი, რომ ტელევიზორიდან ქართველი მწერლის ლაზარის ქართულ სიტყვას გავიგონებდი. ჩვენში ხომ ტრადიციულად ახალ წელს მწერალი გვილოცავდა. გიორგი ლეონიძე სამშობლოს, შენი მეკვლე ვარო, ეუბნებოდა. ქართველ ხალხს ახალ წელიწადს პოეტის ომბახანი ხმა დაემგზავრებოდა ხოლმე: მედნიერების ვარ მომლოცველი!

ძლიერ ქართულ სიტყვაზე გიორგი ლეონიძე მრძანებდა: „სიტყვა ძლიერი, ვით ანთოესი, მე ვპოვე ვისი


გამაცოცხლებლად, მან ზიდა მელი საქართველოსი, ცრემლი, დიდება, ვნება, ოცნება! ახლა კი ქართული სიტყვის შემოქმედნი აღარსად ჩანან, თითქოს უჩინბაჩინის ქული დაუხუნებიათ და გაუქრიათ ჩვენი თვალსაწიერიდან.

ქართული ენა და სიტყვა რომ უქმინდესთაგანია, კიდევ ერთხელ შეგვახსენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამშობლო ეპისტოლეში, მაგრამ სახელისუფლებო ტელეარხებს ეს რატომდაც დაავიწყდათ. თითქოს შეგნებულად ხდება მწერლების უგულვებელყოფა (ნაციონალურების ზოგიერთ საყვარელ მწერალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში). ანადა ვისი გამაცოცხლებელი ქართული სიტყვა ჰაერივით გვჭირდება...

დღეს კი ყველგან პოლიტიკაა – შინ თუ გარეთ, სკოლაში, ხელოვნებაში... ავტორიტეტი აღარ არსებობს... ერთი მხრივ, გამაღებული ემრძვიან ტრადიციებს, მეორე მხრივ, ამკვიდრებენ „ალილოს“, თუმცა ეს ძირძველი ტრადიციაც პოლიტიკოსებს პიარისთვის სჭირდებათ, ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებიან საალილო ფერხულში ჩაბმული სახეგამაჩვიებელი პარლამენტის თავმჯდომარე და ნეტარებით მიზნალოდ პარლამენტარები, ასე ერთ დღეს ერთმანად გავკეთილმოხილვებულნი... ამ საპიარო ფერხულს არც განათლების მინისტრი ჩამორჩა, მმრუნველობამოკლებულ მავშებებს მიუალერსა... ყველგან გაფეტიშებულან ძველი და ახალი მინისტრები – პოლიტიკიდან გაძევებულნი თუ საზღვარგარეთ სასწავლებლად გამწესებულნი. ისე წარმოვიჩვენებ მათ ნანკა-ნანიკოები, თითქოს ახალი ქვეყნის უცოდველი ამყავებელ-გამმურჩქენელები ყოფილიყვნენ... და არსად ჩანს მწერალი, ქართული სიტყვის მეჭვინისუფლე, ისევე და ისევე ყველგან პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენელთა უზადრუკი სახეგება... ახლა ოპოზიცი-ში ერთმანეთს ეჯობებიათ, ქალე-ში უფრო მაგრები არიან თუ კაცები?!

გემოთ „ალილოს“ ტრადიციის ვახსენე, რომელსაც თავგადაკლული ხელისუფლება ასე აპირავს. მავანს ეწყინება, კარგი ვერ დაგინახიათო, საყვედურით აგვავსებს. თუ მართლა კარგი სურთ, მაშინ ნატომ ხდება ტელევიზორიდან ვინმე მისტერ-ბიკინ ბარამიას პოპულარიზაცია და მისით აღფრთოვანება, ერთსქესიანთა ქორწინებაზე გამუდმებული ჩიჩინი? განა ეს ტრადიციების უგულვებელყოფა არ არის? ამის მერე როგორ დაეუქერო „ალილოზე“ თავგადაკლულ ხელისუფლებას?

წერილის დასაწყისში ფრიალ საყვარელი, ზეადმატეული სიტყვები ვახსენე, რომლებიც პრეზიდენტმა ქართველები შეამკო. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვენ საწყალ



ქართველებს ერთი სხვა სადაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, სადაგელი კლაკენა და პირიდან თაფლის დენა“.

ანუ ილია ყიზილბაშობას ასე განმარტავს – რაც ცუდია, ცუდად უნდა დაგინახოთ, რაც კარგია – კარგად. პირფერობა და ურცხვი, ულაგო ქება გლახის და მათხოვრის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისაო. ჯერ კიდევ საუკუნით აღრე გემოდრავდა ვრის მამა – წრფელი და მართალი სიტყვა უთხარით ერთმანეთს, სარკვეში ჩაიხედეთ, ნაკლი გამოასწორეთო...

ჩვენს „ვარდოსან მამებს“ კი, კამინებში, ქვეყნის დასანახად ილიას სურათები რომ უკიდიათ, მისი მოძღვრება არც კი აინტერესებთ, თორემ ხომ ეცოდინებოდათ, რომ „ურცხვი ტყუილი ქება“ და მამათა სწორედაც არაქართულია და ყიზილბაშობაა...

ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ იყოს, გვეტყოდა: მოიმორეთ ეს სადაგელი სენი, ქართველებო!

თამარ შანიშვილი

ინფორმაცია

დეპორტირებულ ქართველებს პოლონეთიდან აკევიპენ

პოლონეთში დაკავებული 30-მდე ქართველი დეპორტაციის ელოდება.

დაკავებულია ძირითადი ნაწილი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით პოლონეთის საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა დააკავა. საქართველოში მათი დეპორტაცია 13 იანვარს იგეგმება. ამ მიზნით პოლონური მხარის ორგანიზებით უკვე დაიწყო სპეციალური ჩარტერული რეისი ვარშავა-თბილისის მიმართულებით. სწორედ ამ რეისით დაბრუნდებიან საქართველოში დეპორტირებულ ქართველებს.

ქართველი არალეგალები დეპორტაციამდე წინასწარი დაკავების იზოლაციაში დარჩებიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეები 15 დეკემბერს მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ გერმანიაში მატარებლით გადასვლა დაიპირეს.

XO-308-360

მერაბ ბერძენიშვილის სამსახურულ სტუდია „მუხა“ სასწავლოდ იწვევს პაპიკაშვილს ათი წლის ასაკიდან. სტუდიაში სწავლა დაიწყება 2010 წლის 15 იანვრიდან. სამსახურულ აპაღმის კურსდამთავრებული მათს და მოხარულია მათთვის ფუნქციონირებას კურსები - სტუდიაში ისწავლება ქანდაკება, ფერწერა, ხატვა, ხელოვნების ისტორია.

მისამართი კუბ ტვის გზა №1. ტელ: 29-28-72, (871) 23-53-53.

ვისწავლოთ სამხარეთო არსებული მშენებარების ალქა, ვინაიდან მშენებარება ადამიანის განვითარების წინააღმდეგია.

შურნალ „მცენიერება და ტემპლოებიანი“ რედაქციის თანამშრომლები და სარედაქციო კოლეგიის წევრები იუწყებიან, რომ ბარდნიცვალა შურნალის მთავარი რედაქტორი, საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ვლადიმერ ვალერიანის ძე შავჭანიძე და თანამშრომლებს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვილი გ. 9, 16 საათზე, დაკრძალვა 10. 1, 14 საათზე.

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის კოლექტივი ღრმად გწმუნებთ იუწყება, რომ ბარდნიცვალა ინსტიტუტის დეპარტამენტი თანამშრომელი, ცნობილი ქართველი მცენიერი, აკადემიკოსი

ვლადიმერ შავჭანიძე და სამიზნის უცხადებს ბარდნიცვალის ოჯახსა და ახლოგულად.

გამოსათხოვარი

ვლადიმერ შავჭანიძე

ბარდნიცვალა გამოსათხოვარი მცენიერი, საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსიპ არჩილ ელიაშვილის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის, საქართველოს გუნდის მცენიერების აკადემიის და ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, საერთაშორისო შურნალ „Kybernetes“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი, სამცხე-ჯავახეთის „მცენიერება და ტემპლოებიანი“ მთავარი რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის წევრი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ღვაწლმოსილი პიროვნება ვლადიმერ ვალერიანის ძე შავჭანიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ კიბერნეტიკის პროფილის ინსტიტუტი სახელმწიფო „კიბერნეტიკის ინსტიტუტი“ პირველად გაიხსნა საქართველოში ვლადიმერ შავჭანიძის შესაშური ინიციატივით.

ვლადიმერ შავჭანიძე დაიბადა 1920 წლის 22 სექტემბერს ქალაქ სოხუმში, ინჟინრის ოჯახში. 1936-1941 წლებში ის სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1947-49 წლებში იყო საკავშირო მცენიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის (ФИАИ) ასპირანტი. 1950-1960 წლებში მუშაობდა საქართველოს მცენიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მცენიერ-თანამშრომლად, შემდეგ უფროს მცენიერ-თანამშრომლად და განყოფილების გამგედ.

1960 წლის 22 სექტემბერს ვლადიმერ შავჭანიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს მცენიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. დირექტორად დაინიშნა ვლადიმერ შავჭანიძე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა ორ ათეულ წელზე მეტი. მისი თაოსნობით კიბერნეტიკის ინსტიტუტმა მოიპოვა წამყვანი ალბიმი არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო სამცენიერო წრეებში, რისი დასტურები იყო თბილისში ჩატარებული 80-4 საერთაშორისო კონფერენცია ხელოვნური ინსტიტუტში, რომელიც მოწვეული იყო მსოფლიოს ყველა წამყვანმა სამცენიერო სკოლის მცენიერმა (იპოვინა, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, გერმანია, ბერძენის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.).

1967 წელს ვლადიმერ შავჭანიძის მცენიერებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფიზიკური კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც საფუძვლად დაედო კი-

ბერნეტიკის ფაკულტეტის გახსნას 1969 წელს. სამი ათეული წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ამ ფაკულტეტის თეორიული კიბერნეტიკის კათედრას. ამ სკოლამ საფუძვლიანი ჩაუყარა კომპიუტერული მცენიერებას იმპერატორული სხეულების თეორიის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გოლო დრომდე იგი ხელმძღვანელობდა ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განსახლებული ინსტიტუტის პრობლემების განყოფილებას.

ვლადიმერ შავჭანიძის გამომწვევად უნდა იქნას 300-ზე მეტი სამცხე-ჯავახეთის სტატიის, არის 20-ზე მეტი გამოკვლევისა და მოწოდების ავტორი, მათ შორის „Проблемы Управления интеллектуальной деятельностью“ (1974 წელი).

მის მიერ აღიზარდა არაერთი მცენიერი და პედაგოგი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

აკადემიკოსი ვლადიმერ შავჭანიძე არის არაერთი პრემიის ლაურეატი, მათ შორის საქართველოს მცენიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოს კამილიონის სახელმწიფო პრემიის გოლოგული.

ვლადიმერ შავჭანიძე 1941 წელს განვლულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მან დაიწყო 1946 წელს, მონაწილეობდა გერმანიაში მსოფლიო ომში - იტალიაში რეპრესირებული, უნდა იქნას, სლოვაკიაში. სამხედრო სამსახური დაასრულა მანკურიაში. დაჯილდოვებულია არაერთი საბჭოთა ორდენითა და მედალით, მათ შორის საბჭოთა წითელი დროშის ორდენით.

ვლადიმერ შავჭანიძის სახვარელი გამოთქმა: „მე ვიპოვე, რომ მცენიერება ძირითადი გამოკვლევადი ძალა ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველგვარი ინფორმაციის გოლოგული მცენიერებულ შედეგებს ეხდნოდა. საზოგადოების წინსვლა ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოდ და მსოფლიოდ იმ ინფორმაციის ეხდნოდა, რომელსაც მცენიერებანი და ტემპლოებიანი... მცენიერების ბარტო სამხარეო შეუძლებელია“.

ვლადიმერ შავჭანიძე ვალმოსილი მცენიერი ამ ძველიდან, მან დატოვა მცენიერებათა შესანიშნავი სკოლა, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ მისწავლებულსა და აღზარდულს.

საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემია

აკადემიკოსი ვლადიმერ შავჭანიძე

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებაში. ბარდნიცვალა სახელოვანი გამოსათხოვარი, მცენიერებისა და ტემპიკის დასახელებული მოღვაწე, საქართველოს მცენიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსიპ არჩილ ელიაშვილის წევრი ვლადიმერ შავჭანიძე, რომლის სახელმწიფო დაკავშირებული გასული საუკუნის 60-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში კიბერნეტიკის დარგის პირველი სამცხე-ჯავახეთის ინსტიტუტის დაფუძნება და საქართველოში კიბერნეტიკოსთა მსოფლიოში აღიარებული სამცხე-ჯავახეთის სკოლის ჩამოყალიბება.

უაღრესად რთული იყო ვლადიმერ შავჭანიძის ცხოვრების გზა. მამა - ვალერიან შავჭანიძე, 1937 წლის ტერორის ემსხვერპლა. მიუხედავად ამ დიდი ტკივილისა მას არ უღალატნია მალაღი ადამიანური ღირებულებებისათვის. იგი ვაჟა-ფშაველას მხრებზე ამ უსამართლო გამოწვევას, წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და დადგინდა ერთად მზრუნველობა არ მოუპოვია უმცროსი ძმებისათვის. მამის უღალატნად იტყობოდა მისი მსოფლიო ომში და ვალმოსილი დაუბრუნდა ოჯახს.

1946 წელს იგი გახდა საკავშირო მცენიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტი, სადაც მსოფლიოში გამოსათხოვარი მცენიერების გვერდით ღირსებულად წარმოაჩინა თავისი ნიჭიერება და ურთულესი ფიზიკური პრობლემების ფართომხარისხიანი და ორიგინალური გადაწყვეტის უნარი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ვ. შავჭანიძემ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში დაინიშნა ათი წლის განმავლობაში. სწორედ ამ 1953 წელს დაიწყო საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კრავალჯივადი გაგნებისა და დანაკრავების კვლევა და მსხვერპლი ნაწილაკების ნეიტრონების სტრუქტურული მეთოდებით“. 1960 წლის ოქტომბერში ფიზიკის ინსტიტუტის ფიზიკა-კიბერნეტიკის განყოფილების გახსნა და საქართველოს მცენიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად ვლადიმერ შავჭანიძე დაინიშნა. 22 წლის განმავლობაში ედგა იგი სათავეში ამ ინსტიტუტს, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით დაარსებულ რამდენიმე წელიწადში საქართველოს აკადემიის აკადემიის და ავტორიტეტი მოიპოვა. 1964 წელს გატოვა ვლადიმერ შავჭანიძის დიპლომატიური დისერტაცია თემაზე: „გოლოგული მცენიერების მეთოდები ფიზიკისა და კიბერნეტიკაში“, სადაც მცენიერის მიერ დაგეგმული თეორიებისა და კონცეფციების ღრმად ანალიზი იყო წარმოდგენილი. ამავე წელს ვლადიმერ შავჭანიძის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა კიბერნეტიკის ფაკულტეტი რამდენიმე ათეულიწლიანი კათედრით, რომელთაგანაც ტემპიკური კიბერნეტიკის კათედრას უმუშაობდა გატონი ვლადიმერ ხელმძღვანელობდა. ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან სამცხე-ჯავახეთის კიბერნეტიკით მოღვაწეობენ. კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობის პე-

რიოდ ვ. შავჭანიძის ძალისხმევით ხშირად იმართებოდა საერთაშორისო სამცხე-ჯავახეთის კონფერენციები, სივრცეში უმეტი, რაც აზრთოვანად და აღკრავდა ქართველი მცენიერების საქმიან კავშირებს უცხოეთში. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა 1975 წელს ხელოვნური ინსტიტუტის დარგში, რასაც ფართო სამცხე-ჯავახეთის მოხვედრა მსოფლიოში.

1967 წელს გატონი ვლადიმერ შავჭანიძე საქართველოს მცენიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, სოლო 1974 წელს კი - ნამდვილი წევრად იქნა არჩეული. 1984 წლიდან ვლადიმერ შავჭანიძე საქართველოს მცენიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში გადავიდა საზოგადო და ორ ათეულ წელზე მეტი ხანს მუშაობდა ინფორმაციის პრობლემების განყოფილებაში. გატონი ვლადიმერის აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ტემპიკურ უნივერსიტეტთან, რომელსა და მისი სტრუქტურული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის ფაკულტეტის ხელმძღვანელობდა. გატონი ვლადიმერ შავჭანიძე შურნალ „მცენიერება“ მთავარი რედაქტორი იყო. იგი დაარსების დღიდან, აქტიურად მოღვაწეობდა როგორც საქართველოს სსიპ არჩილ ელიაშვილის ნამდვილი წევრი.

2008 წელს გადავიდა საზოგადოებაში უდიდესი პატივი მიიღო სახვარელით აღიარებულ მცენიერს და საზოგადო მოღვაწეს დაადანიდან 88 წლისთაიდან დაკავშირებით. რამდენიმე თვეში გატონი ვლადიმერი 90 წლის გახდა. სამწუხაროდ იგი ვერ მოესწრო ამ თარიღის აღნიშვნას.

წავიდა მშენებელი დიდი მცენიერი, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია არა მხოლოდ მისი შრომისა და ძალისხმევის შედეგით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი მნიშვნელოვანი „ღირსების ორდენით“ და პეტრე მელიქიძის პრემიით აღინიშნა გატონი ვლადიმერის ღვაწლი მცენიერების წინაშე, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი მოთხოვნილებითა და უზენაესის ნებით ემსახურებოდა.

აკადემიკოსი ვლადიმერ შავჭანიძე იყო ცოცხალი მაგალითი მშენებელი ინსტიტუტების, მაღალი ღვაწლის, გამოსათხოვარი და მოქალაქეების. იგი თავის ხედვას, თავის შეფასებას, თავის პათოსს უმუშაობდა გადასცემდა ახალგაზრდაებს. მან როგორც დიდმა ვირისკაცმა, იტოვინა, იწვინა, იომა და ისე ვიდა ამ ძველიდან, რომ მისი უპატივმოყვარეობა სულიერი სახე არასოდეს ამოიწვლება მთამოგავლობის მისხიერებიდან.

საქართველოს ტემპიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სსიპ არჩილ ელიაშვილი

გაიხსნა

წიგნის პრეზენტაცია ახალ მუსიკალურ კლუბში

ამ ცოტახნის წინათ, „მაგის“ ინიციატივით თბილისის გულში, რესტორან „ნიკალას“ ადგილზე, სარდაფში გაიხსნა საბავშვო სალაგოების ლაგაზად გაფორმებული დარბაზი.



ამჟამად მართალი მწერლის, ტელევიზიისა და რადიოში არაერთი საინტერესო გადაცემის ავტორის ზურაბ ქარუმიძის წიგნის „ჯაზის საგვარო“ პრეზენტაცია. სხვათა შორის, ეს პირ-

ველი ქართული ნაწარმოებია ჯაზის შესახებ. ავტორი თავად უძველესი სალაგოს და გვირგვინი სანტორი და სანახაობრივი ლაგაზი ჯაზის კომპოზიციები გაქვარდა გამოცდილი შემსრულებლების თაგაზ ყურაგვილისა და სრულიად ახალგაზრდა ტალანტის გემ პოქიანოვილის მიერ. ცნობილი კომპოზიციები ეთერ ანჯაფარიძემ და კონსერვატორის სტუდენტმა გიორგი მიძაძემ შეასრულეს. გვირგვინით ქვა ქართული ჯაზისა და მისი ისტორიის შესახებ ბაიოჰ კანდელაკის, ალიკო რონდელისა და ჯაზის მოყვარულების სანდრო ტანიშვილისა და დავით კვიციანიანს ენაპირით.

გულწრფელი გადლოა მიწა გადავუსადო „მაგის“ და სალაგოს ორგანიზატორს მწერალ ზურაბ ქარუმიძეს ამ დაუძინებარი სალაგოსთვის, სოლო მუსიკის მოყვარულთ მიწა და მივულოცო კიდევ ერთი გადალი ღონის კლუზის გახსნა.

მალაზ დოლიძე

ყველაფერი ყველაფერზე

მეფა - „დავითის პარაკლავით“



როცა გარდაეღობა დანიად-ნიჭრეს, მაშინვე გამოსცეს ბრძანება, რომ ვარაუდს განმასხვავებელი ნიშნით უნდა იარაღი, დავითის პარაკლავით. დანიის მეფე მყისვე „დავითის პარაკლავი“ ბაიკეთს, ქუჩაში გამოვიდა და თავისი ქვეყნის რეპუტაცია გადაარჩინა.

დიდი დრამატურგისგან იხსნა

ცნობილი სიტყვაბი „წილი ნაყარია“, რომელიც იულიუს კეისარმა წარმოთქვა, სინამდვილეში დიდ ბერძენ დრამატურგ მენანდრეს აკუთვნის.


იულიუს კეისარსა და არლეია კანონი, რომლის ძალითაც მას, რომორც უროკონსულს, შეეძლო ჯარებისთვის ესარდლა გოლოდინტალის საზღვრების გარეთ. და აი, სასაზღვრო მდინარე რუგიკოსს რომ მიადგა, ერთგვარი ჭოყანის შეფერვა გადალახა იგი, თქვა, „წილი ნაყარია“, რითიც დანიწყო სამოქალაქო ომი. გალიდან მომავალი კეისარი რომისკან დანიდა. სვატონიუსის სიტყვით, კეისარსა „წილი ნაყარია“ ლათინურ ენაზე წარმოთქვა, კლუტარქეს მოწოდებით კი - ბერძენულ ენაზე. იგი რომაელმა სარდალმა დიდი ბერძენი დრამატურგის მენანდრესაგან იხსნა, რომელმაც თქვა: „დაე წილი ნაყარი იყოს“.



მთაგზადა გივი გაგრაქელა

შეცდომა დამასსიათაგალია ადამიანისთვის

ეს აზრი, აგა თუ იმ ვარაიანტით, მრავალ ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება.




უკვე ძვ. წ. VI ს. ბერძენი პოეტი თეოგენიდა ამატიცებადა, რომ „მოკვდავთათვის დამასსიათაგალია შეცდომის დაშვება“, ანუ იმ იმპორტს დიდი დრამატურგი სოფოკლე თავის ტრაგედიაში „ანტიგონა“, გორა დიდი დრამატურგი ევრიპიდა კი ტრაგედიაში „იკოლითა“ ამაგოდა: „შეცდომა ყველა ადამიანს ახასიათებს“. ახლა მოვუსმინოთ უდიდეს ორატორ დემოსთენეს: „არაფერი არ შეცდენ, ეს (გოლოდინ დემოსთენეს ახასიათებს“.

Table with exchange rates for various currencies and gold prices.

Table with weather forecast for different regions.

დღის კალენდარი 9 იანვარი

31-ე შვიდული სულთმოფენობიდან. შაბათი.



სხვაგა 70-თაგან უფლისწვიდა მოციქულის, პირველმწინისა და მთავარდინაკნისა სტეფანისი (34); ღირსი თეოდორე გამომწერლისა (დაახლ. 840); წვიდა თეოდორე, კონსტანტინეოლო მთავარეპისკოპოსისა (დაახლ. 686).

დაიბადნენ:

- 1797 - ფარდინანდ ვრანგლი, რუსი ზღვაოსანი, ადმირალი, რუსეთში გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. გარდაიცვალა 1870 წელს.
1870 - ჯორჯ ზტრასუნი, ამერიკელი ინჟინერი, სან-ფრანცისკოში „მარონ ჭიჭირის“ სიღის ამშენებელი. გარდაიცვალა 1938 წელს.
1895 - ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ისტორიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1965 წელს.
1903 - სიმონ ჩიქობავანი, გამოჩენილი პოეტი. გარდაიცვალა 1966 წელს.
1904 - ჯორჯ ბალანჩინი (ბალანჩინაქაძე), ამერიკელი ქორეოგრაფი. გარდაიცვალა 1983 წელს.
1908 - სიმონა და გოგუბარი, ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1986 წელს.
1913 - რინარდ ნიქსონი, აშშ-ს 37-ე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1994 წელს.
1924 - სერგო ფარაჟანოვი, კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1990 წელს.
1944 - ფრიდონ თოდუა, რადიოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პარლამენტარი.

გარდაიცვალნენ:

- 1873 - ნაოლონ III (ლუი ბონაპარტი), ფრანგი იმპერატორი, ნაოლონ I-ის ნათესავი.
1878 - მიქტორ ემანუილ II, გაერთიანებული იტალიის პირველი მეფე.
1973 - კონსტანტინე (კოტეა მიძაბერიძე), მსახიობი და კინორეჟისორი.

მოვლენები:

- 1788 - კონეტიკუტი აშშ-ს მეხუთე შტატი გახდა.
1792 - დანიელი იხსის საშვიდოგო ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის, რითაც დასრულდა რუსეთ-თურქეთის ომი.
1905 - დანიე რუსეთის პირველი რევოლუცია.
1919 - ლენინის ბრძანებით ვორონეჟში დასვრიტეს 160 სააკლესიო პირი, არქივისკოპოს ტიხონ ვორონეჟელის ჩათვლით.
1951 - ნიუ იორკში ოფიციალურად გაიხსნა ბაიროს შენობა.
1969 - ზაგბარითი თვითმფრინავი „კონკორდი“ პირველად აფრინდა პრისტოლში.

მედიანოუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა: შპს „თანადგობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი (დავით აღმაშენებლის 150. ტ. 899 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩინი, № 20) მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსიბა 899 17-21-21; სპარტაკ ქოპულაბა 899 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 879 01-04-77 ინფორმაცია 66434 რედაქციის მიერ შეუქმნედავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ანეკდოტები

ანტიკვარიატის მალაზიაში ძალი ნახატებს ათვალიერებს. - შესანიშნავი პორტრეტებია! ვინ არის თაგარ მეფის ეპოქის დროინდელ ტანაცვალში გამოწყობილი ეს ლაგაზი მწიფილი? - წინაპრები არიან, ძალგატონო. - ვინი წინაპრები? - თუ პორტრეტს იყრიდით, თქვენები იმეზიან. - გოგო ბავიციანი, კალიან მომწონს, თვითონაც თანახმაა, მაგრამ მოჯახი წინააღობები. - მისი დედ-მამა? - არა, ჩემი ცოლი და შვილები...

შეცურა ერთხელ მთავრეზა ზღვაში და არ დაბრუნებულა. მოსუცები ამგოგან, ნავით რომ შესულიყო ზღვაში, იმეზა გადარჩენილიყო... - დასკვნა გარდაცვალების შესახებ, რომელიც გუშინ მოგაცით, უნდა გადაინდროს, - ეუბნება საავადმყოფოს ძირუბიული განყოფილების ძირუბი ემთანს. - რაო, რამე შეცდომით წერიდა? - ვცირეოლენი გაუგებრობა მოხდა, - ჩურჩულით ეუბნება ძირუბი, - იგი ნაჩბარეველ შევასვა და გრაფაში - „სიკვდილის მიზეზი“ - შემთხვევით ჩემი თანამდებოდა და გვარი ჩაგვრა.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა: შპს „თანადგობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი (დავით აღმაშენებლის 150. ტ. 899 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩინი, № 20) მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსიბა 899 17-21-21; სპარტაკ ქოპულაბა 899 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 879 01-04-77 ინფორმაცია 66434 რედაქციის მიერ შეუქმნედავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.